# განვავითაროთ საქონელბრუნვა, ავამაღლოთ ვაჭრობის კულტურა!

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 24 ოქტომბერს დაიწყო დღის წესრიგის მეორე საკითხის განხილვა. მოხსენება — რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესებაში — გააკეთა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. მ. სირაძემ.

# ამხ. ვ. მ. სირაძის მოხსენება

**ამხანაგებო!** ვაჭრობა სახალხო მეურნეობის მეტად დიდმნიშვნელოვანი დარგია. იგი დიდ როლს ასრულებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში, მთელი მოსახლეობის ცხოვრებაში. აი ამიტომ მის სწორ ორგანიზაციას, მშრომელთა სულ უფრო მზარდ მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილებას პარტია და მთავრობა მუდამ აქცევდნენ და აქცევენ დიდ ყურადღებას.

უკანასკნელი წლების განმავლობაში რამდენადმე გაუმჯობესდა რესპუბლიკის მოსახლეობის სავაჭრო მომსახურება: გაფართოვდა საზოგადოებრივი კვების ქსელი, დაინერგა ვაჭრობის ახალი პროგრესული ფორმები.

შვიდწლედის განვლილ სამ წელიწადში საცალო საქონელბრუნვა ჩვენს რესპუბლიკაში 1958 წელთან შედარებით 18,6 პროცენტით გადიდდა და შარშან შეადგინა 1.232 მილიონი მანეთი. მნიშვნელოვნად გაიზარდა ამ პერიოდში მოსახლეობისათვის ძირითადი სასურსათო საქონლის მიყიდვა: ხორცისა და ხორცის პროდუქტებისა — თითქმის 1,5-ჯერ, კრბო-კარაქისა — 13,2 პროცენტით, რძისა — 1,6-ჯერ, შაქრისა — 1,4-ჯერ, მაცივრებისა — 1,2-ჯერ, ტელევიზორებისა — 2,4-ჯერ, შეკერილი ნაწარმისა — 31 პროცენტით, ფეხსაცმლისა — 27,3 პროცენტით და სხვ.

ამჟამად რესპუბლიკაში ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების 15.900-ზე მეტი საწარმოა. წლის დამლევამდე მწყობრში ჩადგება კიდევ 147 საწარმო.

მაგრამ ამ წარმატებების ფონზე უფრო შეუწყნარებელია ის სერიოზული ნაკლოვანებანი და შეცდომები, რომლებიც არის სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობაში. ცოტა როდია შემთხვევა, როცა არ კმაყოფილდება მოსახლეობის მოთხოვნილება პირველი საჭიროების ელემენტარულ საგნებზე, ჯერ კიდევ დაბალია ვაჭრობის კულტურა, კადრების მომზადების დონე ყოველთვის როდი შეესაბამება გაზრდილ მოთხოვნებს. უყაირათობა, გაფლანგვები, სოციალისტური საკუთრების დატაცება, მექრთამეობა და საბჭოთა სინამდვილისათვის სხვა უცხო გამოვლინებანი კვლავ არის ზოგიერთ ჩვენს სავაჭრო ორგანიზაციაში, რაც მშრომელთა სამართლიან საყვედურს იწვევს.

შეიძლება სრული პასუხისმგებლობით ...

...

კოოპკავშირმა (თავმჯდომარე ამხ. ხარჩილავა) ვერ უზრუნველყვეს საცალო საქონელბრუნვის 9 თვის გეგმა.

ცუდად არის ორგანიზებული ისეთი საქონლით ვაჭრობა, რომელიც დიდი რაოდენობითა და საჭირო ასორტიმენტით არის ბაზებსა და საწყობებში. ასეთ საქონელს არავინ უკეთებს რეკლამას, არ ზრუნავს იმისათვის, რომ ასეთი საქო-

# კამათი ამხ. ვ. მ. სირაძის მოხსენების გამო

ამხ. ვ. მ. სირაძის მოხსენების გამო დაიწყო კამათი. პირველი გამოვიდა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი **ს. ჩხარტიშვილი.** მან აღნიშნა, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდად ზრუნავენ ადამიანთა ცხოვრების გაუმჯობესებისათვის, მათი კეთილდღეობისათვის.

...

გამყიდველმა **ი. ბაქიძემ.** ეს არც გასაკვირია, ჩვენ ხომ საგრძნობლად ჩამოვრჩებით კულტურულ ვაჭრობაში. ბევრ გამყიდველს არ შეუძლია მისცეს ახსნა-განმარტება ამა თუ იმ სახეობის საქონლის შესახებ, რომელსაც თვითონ ყიდის, არ ძალუძს, ხოლო ზოგჯერ არ სურს დაეხმაროს მყიდველებს რჩევა-დარიგებით.

(გაგრძელება მე-8 გვერდზე)

კომუნისტი
მე-2 გვერდი ხუთშაბათი,
1 ნოემბერი, 1962 წ.

# ახალი ამბები

## მეგობართა შეხვედრა

ქუთაისი. (საკ. კორ.). ათ წელზე მეტია გრძელდება და სულ უფრო ფართოვდება ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების მეორე ინდუსტრიული ცენტრების — ლენინაკანის, კიროვაბადისა და ქუთაისის მშრომელთა ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრება.

მეგობრები ერთმანეთს უზიარებენ მოწინავე გამოცდილებას, პერიოდულად აწყობენ შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმებას. სწორედ ამ მიზნით ეწვია დიდი ოქტომბრის 45-ე წლისთავის წინასადღესასწაულო დღეებში ქუთაისს ლენინაკანის მშრომელთა დელეგაცია სომხეთის კპ ლენინაკანის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის გ. ბ. გარიბჯანიანის მეთაურობით.

ლენინაკანელმა მეგობრებმა ქუთაისში რამდენიმე დღე დაჰყვეს და დაწვრილებით გაეცნენ ქალაქის საწარმოთა მუშაობას.

ქუთაისის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე, რომლის მუშაობაში სტუმრებიც მონაწილეობდნენ, განიხილეს ორივე ქალაქის მშრომელთა მიერ საოქტომბრო შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის საკითხი, შეაჯამეს საწარმოთა კოლექტივების მიერ დღემდე გაწეული მუშაობის შედეგები.

[illegible]

## სიცოცხლის სახელით

[illegible]

## თ. ვ. ივანიცკი

გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა დოქტორი



[illegible] ...ბადოების გეოლოგია, მინერალოგია და გეოქიმია".

საბჭოთა კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა თ. ვ. ივანიცკისათვის გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

## სოფლის სიახლენი

ლამაზი და კულტურული სოფელია დიდი ჯიხაიში. სოფელში მრავალი კეთილმოწყობილი ნაგებობაა.

ახლახან სოფლის ცენტრი დაამშვენა ახლადაშენებულმა პურის საცხობმა, რომელიც ნახევრად მექანიზებულია. იგი დღეღამეში გამოუშვებს ხუთი ათასამდე კილოგრამ პურს.

აქვეა ახალი კეთილმოწყობილი საკოლმეურნეო ბაზარი. აშენდა ახალი სავაჭრო ფარდულები. მოასფალტდა ახლომახლო გამავალი გზები.

ძველი ბაზრის ტერიტორიაზე, რომელიც სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის გვერდით მდებარეობს, გათვალისწინებულია მოეწყოს კულტურისა და დასვენების პარკი.

ი. ნუცუბიძე.

# საგამოფენო დარბაზებში

### მარჯანიშვილისადმი მიძღვნილი...

თბილისის სამხატვრო გალერეაში მნახველთა სიმრავლეა. ათვალიერებენ დიდი ქართველი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის დაბადების 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენას.

პირველ განყოფილებაში ყურადღებას იქცევს კოტეს ბავშვობისა და ჭაბუკობის ამსახველი ფოტომასალა. აქვეა მოთავსებული მისი მშობლების — ელისაბედ ჭავჭავაძისა და ალექსანდრე მარჯანიშვილის პორტრეტები, აგრეთვე იმ თეატრების ხედები, სადაც კოტეს უხდებოდა მუშაობა.

მეორე განყოფილებაში აღსანიშნავია სურათები — მარჯანიშვილი ქართული სცენის მოღვაწეებთან, ესკიზები კოტეს დადგმებისა: „მზის დაბნელება საქართველოში", „მზეთა-მზე", „ცხვრის წყარო", „ურიელ აკოსტა", „ყვარყვარე თუთაბერი" და კადრები კინოფილმებიდან „სამანიშვილის დედინაცვალი", „ამოკი", „კრაზანა".

გამოფენის მრავალ ექსპონატში ასახულია კოტე მარჯანიშვილის სახელთან დაკავშირებული ადგილები.

ინტერესს იწვევს მარჯანიშვილის დადგმებში მონაწილე მთავარი როლების შემსრულებელ მსახიობთა პორტრეტები.

გამოფენა, რომელიც ამ დღეებში გაიხსნა, უკვე ხუთი ათასმა კაცმა დაათვალიერა და გასტანს 25 ნოემბრამდე.

ც. ჩარჩიძე.

### ფუნჯის დიდოსტატთა შემოქმედება

ექსპოზიცია დიდი არ არის — სულ სამი პატარა დარბაზი უჭირავს, მაგრამ აქ რომ მოხვდებით, თქვენს თვალწინ დგება ჭეშმარიტად დიდი ფერწერული ხელოვნება.

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა დასავლეთ ევროპის XVI-XIX ს. ს. ფერწერულ ნამუშევართა გამოფენა. ექსპოზიცია შედგენილია ა. ს. პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ფონდებიდან.

აქ წარმოდგენილი ფერწერული ტილოები, რომლებიც დაწერილია იტალიის, საფრანგეთის, ჰოლანდიის, ფლანდრიის, გერმანიის სხვადასხვა ეპოქის მხატვართა ფუნჯით, მნახველს გარკვეულ წარმოდგენას აძლევს ფერწერის განვითარებაში ისტორიულად საინტერესო პერიოდებსა და მიმართულებებზე.

ექსპოზიცია მრავალფეროვანია თემატურად, ჟანრობრივად, წერის მანერით, რომელთა ერთობლიობა ნათლად ასახავს ამა თუ იმ მხატვრული სკოლის ეპოქას. გამოფენის სტენდებზე გაეცნობით რუბენსის (ფრანგული სკოლა. XVII ს.), გვერჩინოს (იტალიური სკოლა. XVII ს.), როტარის (იტალიური სკოლა. XVIII ს.), ვიდერის (გერმანული სკოლა. XIX ს.) და სხვათა შემოქმედებას.

ექსპოზიციის გულდასმით დათვალიერება დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს მნახველს.

ს. მარინაძე.



შემოდგომა.
ფოტოეტიუდი გ. ჭაყელისა.

# ჯარისკაცის ანდერძი

„დაღამდა. შეწყდა ქვემეხების გრიალი და ტყვიამფრქვევების კაკანი. ფრონტის წინა ხაზზე სიწყნარე ჩამოვარდა. მეორე დღეა, რაც ასე მეორდება, [illegible]

სტრატეგიულად ხელსაყრელი პოზიცია და ტამანის ნახევარკუნძულისაკენ მოეკურცხლათ.

როგორც წესი, ბრძოლის შემდეგ მეგობრებმა ერთმა- [illegible]

[illegible] ...ლი, ათეულის მეთაური მაკარო ამონაშვილი, ჯარისკაცები კოტე ფაფიაშვილი, შალვა იორდანაშვილი და გრიგოლ პარკაძე. ვნახოთ, რას მოგვიტანს ხვალინდელი დღე".

ბლოკნოტი მოვკეცე, მიწურში პარტორგი ალექსი უტიაშვილი შემოვიდა, მოღუშული მომიახლოვდა და მთხოვა ხელი შემიხვიე, ყუმბარის ნამსხვრევმა გამიკაწრაო...

ჯარისკაცებმა საპურველი წესრიგში მოვიყვანეთ. საველე ჩანთებში გადანახული ორცხობილა წყალში დავალბეთ.

— გიორგი, — მითხრა ალექსიმ, რამდენი ხანია ერთი რამ მინდა გთხოვო და სულ მავიწყდება.

— დიდი სიამოვნებით, — მივუგე, — თუ კი რამეში გამოგადგები.

[illegible] ...შემთხვევისათვის გავაკეთე. ხომ უნდა იცოდე მეგობრის გულის წუხილი.

გადავკითხე ალექსის ჩანაწერი და სიამაყე ვიგრძენი. ისედაც სახელოვანი ვაჟკაცი ჩემში ერთიათად ამაღლდა.

გამთენიას ჩვენი ქვეგანაყოფი მორიგ შეტევაზე გადავიდა. საათნახევრიანი ბრძოლის შემდეგ „სვასტიკიანი" ფრიცები ისე შევავიწროვეთ, რომ იძულებული გავხადეთ მიეტოვებინათ [illegible]

[illegible] ...ტეტი ეკიდა. ალექსის ვაჟკაცს — დიმიტრის მივაწოდე მამის ჩანაწერები. მან კი ხმამაღლა წაიკითხა:

„ჩემო კატო! შვილებო — დიმიტრი, კაკო და დარიკო! თქვენზე ფიქრი დღეღამ მოსვენებას მიკარგავს. მაგრამ მხნედა ვარ და მედგრად ვებრძვი დამპყრობლებს, რომლებმაც ერთმანეთს დაგვაშორეს. თავს შევწირავ თქვენი კეთილდღეობისა და მშვიდობისათვის. პატარები დაგტოვეთ, ჩემზე წარმოდგენაც კი არა გაქვთ, მაგრამ გწამდეთ, რომ შერცხვენილი მამის სახელი წინ არასდროს არ დაგხვდებათ. რა ვიცი, კაცს როგორი ფათერაკი დაატყდება, მე ხომ ფრონტზე ვარ... ამიტომ თუ შემთხვევა ერთმანეთს ველარ შეგვყრის, დაე ეს ჩემი სიტყვები ცოცხლობდეს ჩემს ოჯახში. გჯეროდეთ, რომ მამათქვენი თავისი ერის, ოჯახისა და სამშობლოს სიყვარულით დაიფერფლება".

ალექსის მეუღლემ კატომ ბავშვებს უმამობა არ აგრძნობინა, კოლმეურნეობაში თავდადებული შრომით გაზარდა, დაავაჟკაცა და ცხოვრების სწორ გზაზე დააყენა ისინი. უფროსი ვაჟიშვილი დიმიტრი გურჯაანის სკოლა-ინტერნატში მათემატიკის მასწავლებელია, კაკო ავტომძღოლია, ხოლო დარიკო ბაკურციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმს ამთავრებს.

გ. პაპიაშვილი.

* * *



სურათზე: კატო უტიაშვილი (შუაში) შვილებთან — დიმიტრი (მარცხნივ), აკაკი და დარეჯანი.

## ფილმი ერთი მაყურებლისათვის...

ქ. გორკის მხატვრული აღზრდის საბავშვო სახლში, სადაც სწავლობენ მომავალი პიანისტები და მევიოლინეები, მომღერლები და მხატვრები, არიან დები ალა და ლიუბა კატუნინები. მათი დედა მძიმე ავადმყოფია და დიდი ხანია მკურნალობს კუიბიშევში. ამას წინათ მან წერილი გაუგზავნა საბავშვო სახლის დირექტორს ნინა ანტონოვას. „აი უკვე შვიდი წელია — წერს ავადმყოფი ქალი — მიჯაჭვული ვარ ლოგინს. დღედაღამ თვალწინ მიდგანან ჩემი გოგონები ლიუბა და ალა. ვიცი, რომ თქვენთან ისინი მაძღრები, ჩაცმულნი არიან. ვიცი, რომ მათ არავინ აწყენინებს, მაგრამ როგორ მინდა შევხედო ჩემს ბავშვებს..."

რა ექნათ? წაეყვანათ ბავშვები სასწავლო წლის მიმდინარეობის დროს კუიბიშევში? პედაგოგებმა და ბავშვებმა სხვა გამოსავალი იპოვნეს. მათ მიმართეს გორკის ტელევიზიის სტუდიას და მათთან ერთად შეადგინეს „წერილი" დედასთან. გადაიღეს პატარა ფილმი საბავშვო სახლის ცხოვრებიდან. ალა და ლიუბა ნაჩვენები იყვნენ საკლასო ოთახში, სასადილოში, დასვენების დროს, როიალის დაკვრისას. სიმღერებითა და ცეკვებით გამოდიოდნენ სახლის აღსაზრდელებიც.

ასე დაიბადა „ფილმი ერთი ადამიანისათვის", რომელიც გაუგზავნეს კატუნინების დედას. როდესაც დედამ ნახა ეს ფილმი, მან მისწერა საბავშვო სახლში: „ჩემო ძვირფასებო, გულისხმიერო ადამიანებო. რა ზეიმია! გოგონები თითქოს ჩემთან ყოფილიყვნენ, ლაპარაკობდნენ ჩემთან, თქვენ ყველაზე სრულყოფილი წამალი გამომიგზავნეთ. ჩემი უზომო, უზომო მადლობა!".

სააგენტო „ახალი ამბები".

## ახალი სკოლა

ხულოს რაიონულ ცენტრში გაიხსნა ორწლიანი საფერშლო-საბებიო სკოლა, რომელიც მოამზადებს ექთანებს. სკოლაში უკვე ჩარიცხულია 30 კოლმეურნე გოგონა ხულოს, შუახევისა და ქედის რაიონების საზღვრისპირა სოფლებიდან.

ა. იუხნელიძე.

## მეგობრობის კვირეული

ერევანი, 30 ოქტომბერი (საქდესი). სომხეთში გამართული უზბეკური ლიტერატურისა და ხელოვნების კვირეული კულტურის ნათელ დღესასწაულად გადაიქცა.

ექვსი დღის განმავლობაში მოძმე რესპუბლიკის წამყვანი მწერლები, პოეტები, ხელოვნების ოსტატები ხვდებოდნენ ერევნის, ლენინაკანის, კიროვაკანისა და სომხეთის სხვა ქალაქებისა და სოფლების მშრომელებს.

ა. სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გუშინ გაიმართა კვირეულის დასკვნითი საღამო.

## რა გვამცნო ბრინჯაოს განძმა?

ბრინჯაოს განძი იპოვა ნიკოლაევის ოლქის სოფელ ანტონოვკის მახლობლად მწყემსმა ს. ი. გოროდნიუკმა. როცა ეს გაიგეს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის ინსტიტუტის ჩრდილოეთ დნეპრის ექსპედიციის არქეოლოგები ადგილზე მივიდნენ. აწარმოეს გათხრები და მოულოდნელად წააწყდნენ სხვა, ასეთსავე განძს. აქ აღმოჩნდა სხვადასხვა ზომისა და სხვადასხვა დანიშნულების ნამგლები და ცულები, მახვილი, სამაჯურები, საყურეები, ლითონის ზოდები — სულ 130-ზე მეტი ბრინჯაოს ნაკეთობა. მეცნიერებმა განსაზღვრეს, რომ ეს განძი განეკუთვნება ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის ბოლოსა და I ათასწლეულის დამდეგს, ე. ი. კიმერიულ ეპოქას. ახლა განძი გადატანილია მოსკოვში.

რით არის საინტერესო ეს განძი?

...ჰომეროსის პოემებში, ძველი წელთაღრიცხვის VIII საუკუნის ბოლოსა და VII საუკუნის დასაწყისის წერილობით წყაროებში, რომლებიც განეკუთვნებიან ძველ ასურეთს, და ძველი ბერძენი ისტორიკოსის ჰეროდოტეს ზოგიერთ ნაშრომებში მოხსენიებულია „გმირი" ხალხები, რომლებიც შავი ზღვისპირეთის ჩრდილოეთის ოლქებში ცხოვრობდნენ. თუ რას წარმოადგენენ ეს ხალხები, აქამდე ცნობილი არ იყო. არქეოლოგიურ გათხრებსაც ამ საკითხზე არ მოუციათ რაიმე ნათელი წარმოდგენა. და აი... კიმერიული ეპოქის ბრინჯაოს განძი! ასეთი განძი შავი ზღვისპირეთში პირველად აღმოჩნდა და მეცნიერებისათვის წარმოადგენს დიდ ღირებულებას.

# ფინიშის წინ

კარზე მოვიდა დიდი ფეხბურთის ფინიში. 18 ნოემბერს სპორტის მოყვარულები ერთხელ კიდევ იხილავენ პირველი ფინალური ჯგუფის თორმეტივე კოლექტივის ასპარეზობას და პრიზიორებს მიულოცავენ გამარჯვებას. უფრო ადრე კი, 10 ნოემბრისათვის ცნობილი იქნება ის კოლექტივები, რომლებმაც უნდა დატოვონ „ა" კლასი.

ფინიშის წინ ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რით დამთავრდება მორიგი ტურის მატჩები, რა ბედი ეწევათ ლიდერებს, აუტსაიდერებს. თუ დავაკვირდებით გათამაშების ცხრილებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ საპრიზო ადგილების რეალური პრეტენდენტები არიან მოსკოვის „დინამოსა" და „სპარტაკის", აგრეთვე კიევის „დინამოს", ცსკა-სა და თბილისის „დინამოს" გუნდები. „ბ" კლასში გადასვლა კი პირველ რიგში მოელით ვილნიუსის „ჟალგირისს", ერევნის „სპარტაკსა" და ალმა-ატის „კაირატს".

დღეს და ხვალ გაიმართება ორივე ფინალური ჯგუფის გუნდების 11 მატჩი, რომელთა შედეგები უთუოდ გარკვეულ ცვლილებებს შეიტანენ გათამაშების ცხრილში. ამ შეხვედრებიდან ყურადღებას იპყრობს მატჩი მოსკოვში დედაქალაქის „სპარტაკისა" და ცსკა-ს გუნდებს შორის. 2 ნოემბერს ჩემპიონატის ლიდერი — მოსკოვის „დინამო" საკუთარ მოედანზე შეხვდება ლენინგრადის „ზენიტს", კიშინიოვის „მოლდოვა" — ბაქოს „ნეფტიანიკს", დონეცკის „შახტიორი" — მოსკოვის „ტორპედოს", ტაშკენტის „პახტაკორი" — კიევის „დინამოს".

თბილისის დინამოელებისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ხვალინდელ მატჩს დონის როსტოვში.

მეორე ფინალური ჯგუფის ხუთივე მატჩი შედგება ხვალ. ითამაშებენ „კაირატი"—„ავანგარდი", „სპარტაკი" (ერევანი) — „ტორპედო" (ქუთაისი), „ჟალგირისი"—„დინამო" (ლენინგრადი), „დაუგავა" — „ბელარუსი", „ლოკომოტივი" — „კრილია სოვეტოვი".

კომუნისტი სპორტი

### სპორტული ნარევი

☐ საქართველოს მძლეოსნებმა ჩვენი ქვეყნის წამყვან სპორტსმენებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს სომხეთის მძლეოსანთა ღია ჩემპიონატში და კარგ შედეგებს მიაღწიეს. მაგალითად, 100 მეტრზე რბენასა და 110 მეტრზე თარჯრბენში ს. ავიძემ და გ. გვინჩიძემ პირველი ადგილები დაიკავეს და სომხეთის ჩემპიონობა მოიპოვეს.

☐ სსრ კავშირის მოკრივეთა ნაკრები გუნდი საერთაშორისო შეხვედრების გასამართავად ინგლისში გაემგზავრა. პირველი მატჩი ინგლისისა და საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდებს შორის შედგება დღეს, ქ. ვემბლეში, მეორე შეხვედრა — 5 ნოემბერს, ქ. ვულვერჰემპტონში.

## გვარდიელ შიშკინის დღიური

„ამხანაგო, ჯარისკაცი ხარ თუ ოფიცერი, ჩემი დაღუპვის შემთხვევაში თუ იპოვნი ამ დღიურს და შეინახავ მას, გთხოვ, როგორც მეგობარს, როგორც ღვიძლ ძმას, გაუგზავნე და გადაეცი დღიური ჩემს ცოლს, რათა მან წაიკითხოს თავისი ქმრის უკანასკნელი ფიქრები..." — ასე იწყება საბჭოთა მეომრის სტეფანე შიშკინის დღიური, რომელიც 1943 წელს დაიღუპა უკრაინაში ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ამაღელვებლად იკითხება ძველი რვეულის გაყვითლებული ფურცლები. აი საშინელი მოთხრობა მშვიდობიანი საბჭოთა ქალაქებისა და დაბების დაბომბვის, ჩვენი ადამიანების დაღუპვის შესახებ. მეომარი წერს, რაოდენ სძულს მტერი, რომელმაც ხელი აღმართა საბჭოთა სამშობლოს წინააღმდეგ.

სტეფანე შიშკინი მსახურობდა გვარდიის მეოთხე სატანკო კორპუსის გვარდიის მე-12 სატანკო ბრიგადაში. ომამდე ოჯახითურთ ცხოვრობდა ტიუმენში. მისი დაღუპვის შემდეგ დღიური მოხვდა გერმანიაში, ხოლო ახლახან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მცხოვრებმა როზენკრანცმა საბჭოთა საელჩოს საშუალებით გამოგზავნა სსრ კავშირში.

ახლა გვარდიელის რვეული ტიუმენში ინახება. პარტიული არქივის, საოლქო გაზეთ „ტიუმენსკაია პრავდისა" და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მუშაკები ეძებენ სტეფანე შიშკინის ცოლს. სამწუხაროდ, ჯერჯერობით უცნობია მისი მისამართი, გვარი, სახელი და მამის სახელი. მინდა დავიჯერო, რომ ძებნა უშედეგოდ არ ჩაივლის, და მეომრის უკანასკნელი სურვილი შესრულდება. ვინ იცის, იქნებ მკითხველთა შორის ვინმე იცნობდა ს. შიშკინის ოჯახს?.

ი. რიაბოვი,
(საქდესის კორ.).
ტიუმენი, 29 ოქტომბერი.

## ქართველი ძალოსნები მეორე ადგილზე

ქალაქ ბორისოვში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა სოფლის ძალოსანთა საკავშირო შეჯიბრება. ამ ასპარეზობაში საქართველოს გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა. ჩემპიონობა უკრაინელებს ხვდათ. ჩვენი რესპუბლიკიდან პირველი ადგილები დაიკავეს ს. ფოლოსიანმა (უმჩატესი წონა) და ა. სურმანიძემ (ქვემსუბუქი წონა).

## ორი ტურის შემდეგ

საქართველოს ფეხბურთელთა ათი უძლიერესი კოლექტივი განაგრძობს ფინალურ ასპარეზობას რესპუბლიკის ჩემპიონის წოდებისათვის. 31 ოქტომბრამდე შედგა ორი ტური. მეორე ტურის მატჩების შედეგები ასეთია:

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდმა ვერ შეძლო ენერგიული წინააღმდეგობა გაეწია გათამაშების ლიდერის ტყიბულის „მეშახტისათვის" და განიცადა დამარცხება ანგარიშით 1:4. შეუპოვარი ბრძოლით ხასიათდებოდა ქუთაისის „იმერეთისა" და ცხაკაიას „განთიადის" გუნდების მატჩი. მეტოქეებმა შეძლეს თითო ბურთის გატანა და შეჯიბრება ფრედ 1:1 დაამთავრეს; ასეთივე შედეგი იქნა ფიქსირებული მახარაძის „მერცხალისა" და ზუგდიდის „ოდიშის" გუნდების მატჩში.

თბილისის ორი გუნდის „სინათლისა" და „ისანის" ფეხბურთელთა კოლექტივების ასპარეზობაში „სინათლის" გუნდის უპირატესობა აშკარა იყო. მათ მოწინააღმდეგის კარში 4 ბურთი გაიტანეს, საკუთარ კარში კი არც ერთი არ მიუღიათ. ქობულეთის „შუქურასა" და ლანჩხუთის „გურიას" მატჩში მეტოქეებმა ორ-ორი ბურთი გაიტანეს — ფრე.

## ქრონიკა

იმისათვის, რომ განხორციელდეს ხელმძღვანელობა საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის განვითარებისადმი, და გაითვალისწინა რა ელექტროსადგურების მშენებლობისა და ექსპლოატაციის მჭიდრო კავშირი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შექმნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველო და დანიშნა ამ სამმართველოს უფროსად ამხ. დ. ნ. ჩხეიძე.

# რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

რადიო

2 ნოემბერი
პირველი პროგრამით

06.40 — კონცერტი, 08.30 — მუსიკა საბჭოთა კინოფილმებიდან, 09.10 — ჟილინსკი. სონატა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის, 11.10 — მუსიკის საათი ახალგაზრდობისათვის, 12.00 — გაზეთ „ნორჩი ლენინელის" ფურცლებზე, 12.10 — ნაწყვეტები ტ. ხრენიკოვის ოპერიდან „ქარიშხალში", 13.40 — ლეგარი. ფანტაზია ოპერეტა „ცისფერი მაზურკის" თემებზე, 17.15 — კონცერტი — „ნაცნობი მელოდიები", 17.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის, 18.10 — კონცერტი ციკლიდან — „სიმღერის ოსტატები", 18.45 — უკრავს თენგიზ ამირეჯიბი, 19.30 — მუშათა რადიოგაზეთი, 20.15 — შ. მშველიძის უვერტიურები (პირველი შესრულება), 20.30 — რადიოჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება", 21.10 — კონცერტი რადიომსმენელთა დაკვეთით, 22.15 — ლისტი. მეფისტოვალსი, 23.30 — რიმსკი-კორსაკოვი. ნაწყვეტები ოპერიდან „თოვლის ქალი".

თეატრები

1 ნოემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — დემონი (მე-2 აბონ. მე-2 სპექტაკლი), რუსთაველის სახელობის — ზღვის შვილები, მარჯანიშვილის სახელობის — ოქრო კაცი ბეწვის ხიდზე, გრიბოედოვის სახელობის — უცხოური ჩემოდანი, სანკულტურის — გმირი ერთი დღით (მე-3 აბონ.), მოზარდ მაყურებელთა ქართული — განძთა კუნძული (აბონ. № 7, 6 ს.).

ტელევიზია

1 ნოემბერი

12.00 — მხატვრული ფილმი „მეხუთე ოკეანე", 18.00 — ყველაზე პატარებისათვის — „ცეროდენას ეკრანი", 18.20 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „კინომოგზაურობა მსოფლიოს ქვეყნებში", 18.45 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 19.35 — საუბარი — „გავაუმჯობესოთ მცენარეთა დაცვის საქმე", 19.50 — კინონარკვევი, 20.20 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე, 20.40 — ახალი ამბები, 20.55 — მხატვრული ფილმი „ლენინი 1918 წელს".

კინო

1 ნოემბერი

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ისანი, თბილისი, 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი), კოლხიდა — ჯამილა, ოქტომბერი, სპარტაკი, კომკავშირელი, საქართველო (მწვანე დარბაზი), პლეხანოვის სახელობის კლუბი (საზამთრო), ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, კიროვის სახელობის პარკი, ყაზბეგი (პირველი დარბაზი) — სიყვარულის დღეები, ნაკადული — ჯადოსნური რევიუ, 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი), კოლმეურნე, თანამგზავრი — ორგოზოლელი ბანდიტები, საქართველო (მწვანე დარბაზი) — დონ-ჟუანი, პლეხანოვის სახელობის კლუბი (საზაფხულო) — ოდისევსის მოგზაურობა, ოფიცერთა სახლი, გაზაფხული, კომუნარების ბაღი, ადგილობრივი მრეწველობის რესპუბლიკური სახლი — უკანასკნელი რაუნდი, დიდუბე (საზამთრო) — სინდბადის მეშვიდე მოგზაურობა, დიდუბე (საზაფხულო) — მზითევიანი ქორწილი.


„პრავდის" გამომცემლობა ხელისმომწერებს ახსენებს, რომ „სოიუზპეჩატი" ნოემბრის ბოლოსათვის ამთავრებს ხელმოწერის კამპანიას ცენტრალურ ჟურნალებზე 1963 წლისათვის. თუ თქვენს კოლექტივში ჯერ არ მოუწერიათ ხელი ჟურნალ „სოვეტსკაია პეჩატზე", მაშინ იჩქარეთ ეს გააკეთოთ 20 ნოემბრამდე. თვითეული ჟურნალისტი თავისი ჟურნალის არა მარტო მკითხველი, არამედ მუდმივი ხელისმომწერიც უნდა იყოს. (საქდესი).

Советская ПЕЧАТЬ


## 10 ნოემბერი—საბჭოთა მილიციელის დღე

# სიმშვიდის გუშაგი

იცით, რას ნიშნავს იყოთ მილიციის მუშაკი? ეს მრავალი უძილო ღამეა, შიშითა და ხიფათით აღსავსე, ეს ზოგჯერ სიკვდილთან პირისპირ დგომაა და სხვის დასახსნელად საკუთარი სიცოცხლის გაწირვაც.

ადამიანის წმიდა უფლება, მისი პიროვნული ღირსება ვერ ითმენს უკეთურთა ხელყოფას... სოციალისტურ დოვლათს ფხიზელი თვალი სჭირდება, და მილიცია დგას საგუშაგოზე. იგი დგას იქ, სადაც ადამიანთა სიმშვიდესა და ბედნიერებას ბოროტი თვალი უთვალთვალებს. იგი გზაჯვარედინზე დგას, ჩვენს მგზავრობას ფათერაკი რომ აიცილოს. იგი დგას მთისა და ბარის შესაყარში, შრომით დაღლილთა მყუდროება უხიფათო რომ გახადოს. მატარებელში, ქუჩაში, სახლში — ყველგან, ყოველთვის გვიცავს ჩვენი მილიცია.

ჩვენი მილიციის რიგებში ბევრმა ისახელა თავი, უმწიკვლო მუშაობით ხალხის ნდობა და სიყვარული დაიმსახურა. ამჯერად მილიციის კაპიტან ოთარ მჭედლიძეზე მინდა გიამბოთ.

18 წლისა იყო ოთარი, სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოსახდელად უკრაინაში რომ გაგზავნეს. რიგითი ჯარისკაცი შეიარაღებულ დაცვაში ჩარიცხეს.

უკრაინიდან ვაჟმოხდილი ჭაბუკი 1952 წელს მადლობითა და ჯილდოებით დაბრუნდა სამშობლოში.

კომკავშირელმა ყმაწვილმა არმიიდან დაბრუნებისთანავე სწავლას მოჰკიდა ხელი და მილიციის სპეციალური სასწავლებელი დაამთავრა. ახალგაზრდა იყო, მაგრამ თავისი საქმის კარგი მცოდნე, და იგი თბილისის ოქტომბრის რაიონის მილიციის მე-8 განყოფილებაში უბნის რწმუნებულად დანიშნეს. ეს იყო ათი წლის წინათ.

ათი წელიწადი არც ისე მცირე დროა. ამ ხნის განმავლობაში ოთარ მჭედლიძეს არც ერთი დღით, საათით და წუთით არ უღალატნია თავისი საპატიო მოვალეობისათვის. მის კარგ მუშაობაზე ბევრი ქება თქმულა, დამსახურებული მადლობები და ჯილდოებიც მიუღია.

— „მოწინავე უბნის რწმუნებული", „მისაბაძი თანამშრომელი", „წესრიგის დაცვის ორგანიზატორი" — აი როგორ იცნობენ მილიციის რიგებში ოთარ მჭედლიძეს. ყოველი დავალება მისთვის წმიდა საქმეა და გულითადობით ეკიდება მას.

დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის რაიონებში ქურდები და მძარცველები გაჩნდნენ. საჭირო იყო ხორცმეტებისაგან იმ არემარის გაწმენდა. ო. მჭედლიძემ აქტიური მონაწილეობა მიიღო მძარცველების შეპყრობაში. მარჯვე ოპერატიული მოქმედების შედეგად აღმოჩენილ იქნენ ეს ნაძირალები.

საბჭოთა მილიციის ძალა მასებთან ურღვევ კავშირშია. მოსახლეობის ხმა უბნის პროფილაქტიკურ ღონისძიებათა ჩასატარებლად ერთ-ერთი საუკეთესო რეცეპტია, მაგრამ ამისათვის უბანს უნდა უყვარდე, ხალხმა გული უნდა გაგიხსნას. ხალხის სიყვარული და ნდობა მილიციის მუშაკთათვის ნამდვილად დიდი ღირსებაა. ოთარ მჭედლიძეს კი უფლება აქვს წარბშეუხრელად თქვას:

— მე მენდობა და მაფასებს ჩემი უბანი.

მაშინაც ტაქსების მძარცველებზე ხმა მიაწვდინეს მას. ისიც მყუდრო ჩრდილში მიმალულ ძალადობას წინ აღუდგა... ეს სათქმელად იოლია, საკუთარი სიცოცხლის ბედის სასწორზე შეგდება კი გაცილებით ძნელი, მაგრამ ოთარისთანა მამაცი ადამიანები მაშინ არ ფიქრობენ, თუ საითკენ გადაიხრება სასწორის პინა. ოღონდ საზოგადოებრიობის, სინდისისა და ვალდებულების წინაშე პირნათელი და გულმართალი გამოვიდნენ.

ის იყო დაღამდა, როცა ოთარ მჭედლიძემ თავის მეგობართან — ნოდარ წურწუმიასთან ერთად დატოვა ქალაქი და გარეუბნისაკენ გაეშურა. კუკიის სასაფლაოზე ავიდნენ. მამაცი ადამიანები ბოროტმოქმედთა კვალს ამოყვნენ აქ. მანქანების მძარცველებს სასაფლაოზე დაედოთ ბინა. საჭირო იყო კრაზანის ბუდის მოშლა. ეს სერიოზული საქმე იყო, თანაც სახიფათო.

მილიციის მუშაკები მინიშნებულ ადგილზე მივიდნენ და დაელოდნენ... გავიდა საათი, ორი, სამი და აჰა, ტაქსი გაჩერდა. კარის გამოღებით მანქანაში შუქი აინთო. მილიციის მუშაკებმა მზერა დაძაბეს. წინ მჯდომმა დანა იძრო და მძღოლს ნიკაპქვეშ მიაბჯინა. მას დანარჩენი სამიც წამოეშველნენ. მილიციის მუშაკებმა ერთმანეთს გადახედეს, სათქმელი თვალებით თქვეს. ავაზაკების შესაპყრობად ყველაფერი აწონილ-დაწონილი ჰქონდათ. ერთი ნაბიჯი, და ბოროტმოქმედი მახეში იყო.

მაგრამ ამ ნაბიჯსაც უნდოდა გაზომვა. ისინი ხომ ოთხნი იყვნენ, შეიარაღებულები, დაუნდობლები, ამიტომ მილიციის მუშაკებს სიფრთხილე და სიმარჯვე მართებდათ.

იარაღმომარჯვებულები გალავნის კედელს აეკრნენ. ერთმა ორი ნაბიჯი წინ გადადგა, მეორემ უკან დაიხია და ვეფხვის ნახტომით მძარცველებს თავს დაესხნენ. ეს ისე მოულოდნელი, ისე მრისხანე იყო, რომ ავაზაკები დაიბნენ. ისინი შეპყრობილ იქნენ.

ო. მჭედლიძის კეთილ ნამოქმედარს ახლა სხვა კუთხიდან შევხედოთ.

ყაზახეთში პური დამწიფდა, მოსავალიც დიდი იყო. მოზვავდა ხორბალი. მოსავლის აღება-დაბინავება სჭირდებოდა, და ყაზახეთმა საბჭოთა ახალგაზრდობას დახმარება სთხოვა, მოდით, მოგვეშველეთო. ამ მოწოდებამ საქართველოშიც ჩამოაღწია და დაიძრა ყაზახეთისაკენ ახალგაზრდების, კომკავშირელების მთელი არმია.

ოთარ მჭედლიძე ხომ მუდამ კარგი საქმის, კარგი წამოწყების თაოსანი ყოფილა და ახლაც დიდ საქმეს მხარი შეაშველა. ერმაკოვის რაიონში კომკავშირული ბრიგადა ჩაიყვანა და იქაც შრომით თავი ისახელეს ქართველებმა.

კიდევ ერთი ეპიზოდი ოთარ მჭედლიძის ცხოვრებიდან.

გვიან ღამე იყო. ოთარი დინჯად მიაბიჯებდა ქუჩაში. ხის ქვეშ ვიღაც საეჭვო შენიშნა, მის შესაგებებლად მოემზადა, მაგრამ ქალი რომ დაინახა, გაუკვირდა, ჩემოდანზე ბავშვი თვლემდა. დედამ შიშჩამდგარი თვალებით ახედა უცხოს.

— ვინა ხართ, ამ დროს რა გინდათ ქუჩაში? — იკითხა კაცმა. მის ხმაში ყურადღება იგრძნობოდა და ქალიც გამხნევდა.

— უკრაინელი ვარ, სტუმრად ჩამოსული, მატარებელმა დაიგვიანა, ჩემს მასპინძლებს ბინა გამოუცვლიათ, მეზობლებმა მისამართი მომცეს, მაგრამ ასე გვიან სად ვეძებო, მძიმე ბარგით, — მიუგო ქალმა.

შიშითა და ნერვიულობით იგი თითებს იმტვრევდა. შემოდგომის ცა კი საწვიმრად ემზადებოდა.

სტუმარს რომ მასპინძლობა უნდა, ხიფათში ჩავარდნილს დახმარება — ეს ვინ არ იცის საქართველოში? და მამა-პაპათა წმიდა ჩვევას განა ოთარ მჭედლიძე უღალატებდა?

— ქუჩაში ვერ დარჩებით, ხიფათზე რომ არაფერი ვთქვათ, ცოდვანი ხართ, წამოდით ჩემთან, ღამეს გაათევთ, ხვალ კი თქვენს მასპინძელს ვიპოვნით, — თავაზიანად მიიპატიჟა მჭედლიძემ. ქალი დუმდა, უცნობს ასე უბრალოდ ვერ ენდობოდა.

— მე მილიციის მუშაკი ვარ, ნურაფრისა გეშინიათ, — და მან საბუთი უჩვენა ქალს.

— იქნებ ჩემი ნათესავი მაპოვნინოთ. — მორიდებით სთხოვა ქალმა.

— არც ეს არის ძნელი, — მიუგო მან და მძიმე ჩემოდნით მთავარი ქუჩისაკენ აუხვია. მას ბავშვიანი ქალი მიჰყვა.

შუაღამე გადასული იყო, მასპინძლებს სასურველი სტუმარი რომ მიუყვანა მჭედლიძემ.

— კეთილო კაცო, ჩემი მისამართი დაიწერეთ და უკრაინაში მესტუმრეთ, — აღელვებით ემშვიდობებოდა სტუმარი...

ეს პატარა, ცხოვრებისეული ეპიზოდი არ შეიძლება საოცარ საქმედ ან გმირობად ჩაითვალოს, მაგრამ ესეც ხომ იმ დიდი ჰიმნის ჟღერადი ჰანგია, ძლევის სიმღერასავით მთელ მსოფლიოში რომ გაისმა: — ადამიანი ადამიანისათვის ძმა და მეგობარია.

ლ. გვაზავა-სანაძე.


რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.



ᲣᲔ 01172 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.